სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად განსახორციელებელი ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სააგენტოს უფროსის 17.02.2021 წლის #78 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი #1

იმერეთის პრობაციის ბიუროს ქ. ქუთაისის ოფისის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე

კომისიის წევრები:

1. **კობა ხუბუნაია** - სააგენტოს უფროსის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).
2. **ვლადიმერ ხელაძე** - სააგენტოს უფროსის მოადგილე.
3. **თემურ გუგუშვილი** - სააგენტოს კვლევისა და სერვისების დეპარტამენტის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:

4. **ირაკლი ციკოლია** - სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის ფინანსისტი (სხდომის მდივანი).
5. **ლევან ბრაგვაძე** - სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის მენეჯერი.

სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია

დღის წესრიგი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2021 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში იმერეთის პრობაციის ბიუროს ქ. ქუთაისის ოფისის სარემონტო სამუშაოების ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებული განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

განიხილეს:

კ. ხუბუნაიამ მოახსენა კომისიის წევრებს, ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ ჩატარებული წინამოსამზადებელი სამუშაოების და ბაზრის კვლების შედეგების თაობაზე, ასევე, 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებული საკუთარი შემოსავლების შესახებ, რომლის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 101 800,00 (ასერთიათას რვაასი) ლარით და წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შესახებ განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები.

აზრი გამოთქვეს:

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს - 101 800,00 (ასერთიათას რვაასი) ლარის ოდენობით. სატენდერო კომისიის

აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) განცხადების გამოქვეყნება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიამ დაადგინა:

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12^1 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ იქნას სატენდერო დოკუმენტაცია.
- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12^1 მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ქართულ ენაზე განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სსიპ-დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ვლადიმერ ხელაძე
სსიპ-დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	კობა ხუბუნაია
კვლევისა და სერვისების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	თემურ გუგუშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ირაკლი ციკოლია
ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის მენეჯერი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ლევან ბრაგვაძე